



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34230206

თარიღი:20/01/2023

„მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 თებერვლის Nბ34.34220543 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 თებერვლის Nბ34.34220543 ბრძანებაში, კერძოდ:

1.1. ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09:00 სთ-დან - 18:00 სთ-მდე, 2023 წლის 23 იანვრიდან - 2023 წლის 1 თებერვლის ჩათვლით“.

1.2. ბრძანების მე-6 პუნქტში მითითებული:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წილკნის ადმინისტრაციულ ერთეულში - რამაზ ანდრიაშვილის, ტელეფონის ნომერი: 595-204-443 ნაცვლად, მიეთითოს - ოთარ ჭალელიშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-052-054;

ბ) საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - ოთარ ბიჩინიაშვილის ნაცვლად, მიეთითოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ოთარ ბიჩინიაშვილი;

გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის გალაგნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ივანე ობგაიძის, ტელეფონის ნომერი: 599-357-658 ნაცვლად, მიეთითოს გალაგნის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მ/მ - ლალი ბედუკაძე, ტელეფონის ნომერი: 577-554-165;

დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ლისის ადმინისტრაციულ ერთეულში - ნუკრი ქობულაშვილის, ტელეფონის ნომერი: 599-174-171 ნაცვლად, მიეთითოს - საბირი ალავერდოვი, ტელეფონის ნომერი: 599-426-067.

1.3. ბრძანების მე-7 პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 „მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების გამართვის გრაფიკი“ ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დimitრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

